3388

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 12 ივნისი, 1942 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 24 (235). ფასი 30 კაპ.

სამამულო ომში უფრო მეტად მტკიცდება საბჭოთა ხალხის ურღვევი კავშირი და მეგობრობა

მალე ერთი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირს ვერაგულად თავს დაესხნენ პირსისხლიანი ჰიტლერელი ბარბაროსები. ამ დროის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ მეტად მძიმე გამოცდა გაიარა. საბჭოთა კავშირზე თავდასხმისას გერმანელი ფაშისტი არამზადები ფიქრობდნენ, რომ მოახერხებდნენ საბჭოთა ხალხის მტკიცე, ურყევი მეგობრული ოჯახის დარღვევას, დაქსაქსვას. ფაშისტი გაიძვერები ფიქრობდნენ, რომ „პირველივე სერიოზული დარტყმისა და წითელი არმიის პირველი წარუმატებლობის შემდეგ თავს იჩენდა კონფლიქტები მუშებსა და გლეხებს შორის, ატყდებოდა ჩხუბი სსრ კავშირის ხალხთა შორის, დაიწყებოდა აჯანყებანი და ჩვენი ქვეყანა შემადგენელ ნაწილებად დაიშლებოდა, რაც გერმანელ დამპყრობთ გაუადვილებდა წინსვლას თვით ურალამდე, მაგრამ გერმანელები აქაც სასტიკად მოსტყუვდნენ. წითელი არმიის წარუმატებლობამ არა თუ ვერ შეასუსტა, არამედ პირიქით, კიდევ უფრო მეტად განამტკიცა როგორც მუშათა და გლეხთა კავშირი, ისე სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა. უფრო მეტიც,— ამ წარუმატებლობამ სსრ კავშირის ხალხთა ოჯახი გადააქცია ერთიან ურღვევ ბანაკად, რომელიც თავდადებით ეხმარება თავის წითელ არმიას, თავის წითელ ფლოტს. საბჭოთა ზურგი არასოდეს არა ყოფილა ისე მტკიცე, როგორც ახლაა“ (სტალინი).

მთელი 25 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ხალხები, გამოუკლებლივ ყველანი, შეერთებული ძალით იბრძოდნენ და ანმტკიცებდნენ ჩვენს ქვეყანაში ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებას. ამიტომ დღეს მთელი საბჭოთა ხალხი თავგამოდებით, თავისი სისხლით იცავს და ბოლომდე დაიცავს ბედნიერებისა და თავისუფლების ქვეყანას. სსრ კავშირის ყველა ეროვნების მებრძოლები ხელი-ხელ ჩაკიდებულნი დაუზოგველად ანადგურებენ ფაშისტურ უწმინდურებას. საბჭოთა ხალხი ვერასოდეს ვერ შეურიგდება გერმანელი იმპერიალისტების ბატონობას ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ხალხი არ შესწყვეტს მტრის დაუზოგველ განადგურებას მანამდე, სანამ საბჭოთა მიწა-წყალზე დარჩება თუგინდ ერთი ოკუპანტი.

ფაშისტი არამზადები ფეხქვეშ თელავენ ყველა ხალხის ცხოვრებასა და თავისუფლებას. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ასე თავდადებით იბრძვის გერმანელი ბარბაროსების წინააღმდეგ. სწორედ ამ ბრძოლაში მჟღავნდება განსაცვიფრებელი ძალა მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელიც ასე გმირულად და სახელოვნად იცავს თავის წმინდათა-წმინდა სამშობლოს — სსრ კავშირს. ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა ეროვნების შვილისათვის — რუსისათვის, უკრაინელისათვის, ბელორუსისათვის, ქართველისათვის, სომხისათვის, აღერბეიჯანელისათვის, ყაზახისათვის, უზბეკისა და სხვებისათვის არსებობს მხოლოდ ერთი საერთო სამშობლო — სსრ კავშირი, რომლის გულისათვისაც ისინი უშიშრად მიდიან ბრძოლაში. საბჭოთა ქვეყნის ყოველი ადამიანი, განურჩევლად ეროვნებისა, არის ჩვენი მთლიანი სამშობლოს შვილი. ჩვენი ქვეყნის რომელ მხარეშიაც არ უნდა იყოს აღზრდილი საბჭოთა ადამიანი, ყველგან მას უნათებს და ათბობს სტალინური კონსტიტუციის ბრწყინვალე მზე. ყოველივე ის გრანდიოზული, რაც გაკეთდა ამ ათეული წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში, მიღწეულია საერთო ძალღონით და საერთო შრომით. აი ამიტომ იმ ეროვნების შვილები, რომელნიც საბჭოთა ქვეყანაში ცხოვრობენ, განუშორებელნი არიან ერთმანეთისაგან, საბჭოთა სახელმწიფოსაგან. აი ამიტომ არის თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის, განურჩევლად ეროვნებისა, ერთნაირად ძვირფასი და მახლობელი საბჭოთა მიწა-წყლის ყოველი ნაკვეთი. გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში სწყდება ბედი არა მარტო ერთი რომელიმე ეროვნებისა, საბჭოთა ოჯახის არა მარტო ერთი რომელიმე წევრისა, არამედ მთელი საბჭოთა სახელმწიფოსი, ყველა საბჭოთა ადამიანისა.

ჰიტლერული გერმანია დაუძინებელი მტერია მთლიანად ჩვენი სამშობლოსი და მასში მცხოვრები ყველა ხალხისა. მთელმა ჩვენმა ხალხმა კარგად იცის, რომ ფაშისტი თავდამსხმელები ერთნაირად ვერაგულად და ბარბაროსულად ეპყრობიან მათ ხელში ჩავარდნილ საბჭოთა ადამიანებს, რა ეროვნებისაც არ უნდა იყვნენ ისინი. ყოველ საბჭოთა ადამიანს, განურჩევლად ეროვნებისა, გერმანელი ფაშისტები უყურებენ როგორც დაბალი რასის წარმომადგენლებს, რომელთაც შეიძლება ისე მოეპყრან, როგორც მათ მოესურვებათ — ჩამოახრჩონ, დასწვან, სტანჯონ, მიმართონ მათ წინააღმდეგ წარმოუდგენელ სიმკაცრეს და სხვ.

ფაშისტი არამზადები ერთნაირად სძულს ყველა საბჭოთა ადამიანს. ჩვენმა ხალხმა კარგად იცის, რომ გერმანელი ფაშისტები პირწავარდნილი იმპერიალისტები არიან, სიბნელისა და მონობის დამცველები არიან. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირში მცხოვრები ყველა ეროვნების შვილი ხელი-ხელ ჩაკიდებული, საერთო ძალით იბრძვის გაცოფებული მტრის წინააღმდეგ. სამამულო ომის გმირთა შორის, რომელთაც თავიანთი ვაჟკაცობით ასახელეს სამშობლო და თავიანთი თავი, არიან საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილები. „პრავდა“ ამას წინად იტყობინებოდა უკრაინის განთავისუფლებისათვის მებრძოლი ყაზახეთის შვილების გმირობისა და მამაცობის შესახებ: „ჯგუფი ყაზახ მებრძოლებისა წარმატებით გადავიდა მდინარის მეორე ნაპირზე, რომელიც წინად გერმანელებს ეჭირათ. დასდგეს რა ფეხი უკრაინის განთავისუფლებულ მიწაზე, ყაზახები ემთხვივნენ მას, ისინი ჰკოცნიდნენ მტრისაგან განთავისუფლებულ მიწას. ახალგაზრდა მებრძოლს ყაზახ ტურდანის, საფრთხის მიუხედავად, მტრის მიერ დანთებული ცეცხლის ქვეშ მინომეტთან საჭურველი მიჰქონდა. როდესაც შემოაკლდათ მავთული და ყუთები, მაშინ ტურდანის ნალმები გადაჰქონდა ჩვეულებრივ ტომრებით და ხელით. პარტიის კანდიდატი უმუზრაკოვი მშობლიურ ყაზახურ ენაზე მოუწოდებდა თავის თანამემამულეებს: „წინ, სამშობლოსათვის, სტალინისათვის“. და მას თან მიჰყვებოდა ყოვლის დამთრგუნველი ძალა მებრძოლებისა“. ეს არ არის ცალკეული შემთხვევა ან მაგალითი. ასე თავდადებით იბრძვიან საბჭოთა ქვეყნის ყველა ეროვნების შვილები ვერაგი მტრის წინააღმდეგ.

ასეთია საბჭოთა ხალხის მტკიცე და ურღვევი მეგობრობა. ეს მეგობრობა სამამულო ომის პირობებში უფრო მეტად გაძლიერდა და განმტკიცდა. სტალინური მეგობრობის დროშით საბჭოთა ხალხი გადალახავს ყოველგვარ წინააღმდეგობასა და სიძნელეს, და 1942 წელს მიაღწევს სრულ გამარჯვებას ჰიტლერულ გერმანიაზე, მოსპობს და გაანადგურებს ფაშისტ ოკუპანტებს.

ფრონტელ მწერალთა თათბირი

ლენინგრადში, კიროვის სახელობის წითელი არმიის სახლში შესდგა ლენინგრადელი მწერლების საფრონტო თათბირი. მოხსენებით მწერლების საფრონტო გაზეთში მონაწილეობის შესახებ გამოვიდა სტალინური პრემიის ლაურეატი პოეტი ნიკოლოზ ტიხონოვი.

100 ლიტერატორზე მეტი იღებს მონაწილეობას არმიელთა გაზეთებში,—განაცხადა მან,—მრავალი ლენინგრადელი პოეტის ნაწარმოები ფართოდ არის ცნობილი მებრძოლთა და მეთაურთა შორის.

მწერლები საფრონტო პირობებში ცხოვრობენ და ამ გარემოებამ დადებითად იმოქმედა მათს შემოქმედებაზე. მწერლებმა დაიწყეს წერა უფრო გასაგებად, უფრო ემოციურად. პოეტებისა და პროზაიკოსების ხმას ახალი ძალა შეემატა.

საფრონტო გაზეთებში განსაკუთრებით ფეხი მოიკიდეს სატირულმა ლექსებმა. გაზეთების ჰუმორულ განყოფილებაში მოქმედებენ ისეთი პოპულარი გმირები, როგორიც არის ვასია ტიორკინი, ეფრეიტორი მინამიოტოვი და სხვ.

წითელდროშოვან ბალტიკის ნაწილებში მწერალთა მუშაობის შესახებ ილაპარაკა ვს. ვიშნევსკიმ.

თათბირზე გამოვიდა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ა. ფადეევი.

თათბირმა დიდის აღფრთოვანებით მიიღო მისალმება დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი**.

თათბირმა მისალმება გაუგზავნა აგრეთვე ლენინგრადის ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხ. ა. ჟდანოვს.

რომანი სამამულო ომის გმირებზე

ბესო ჟღენტი

სოლომონ თავაძის „მეგობრები“ საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომის თემაზე დაწერილი პირველი რომანია ქართულ ლიტერატურაში. ეს წიგნი იმის მომასწავებელია, რომ ჰიტლერული გერმანიის დასამხობად წარმოებული ეხლანდელი გმირული ბრძოლის მხატვრული განსახიერებისათვის ჩვენი მწერლობა აღარ კმაყოფილდება მარტო ლექსებით, ნოველებით, მოთხრობებით. ჩნდებიან ჩვენი ეპოქის ამ უდიდესი მოვლენით შთაგონებული ფართო პლანის, ეპიური ჟანრის ქმნილებები — პოემები, დრამები, რომანები, რომელთაც მხატვრულ სახეებში უნდა აღბეჭდონ ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილთა უკვდავი საგმირო საქმეები, მოგვითხრონ იმ შეუდარებელი პატრიოტული თავგანწირულების შესახებ, რომლითაც ჩვენი დევგმირი ხალხი თავის სიცოცხლესა და თავისუფლებას, სახელსა და ღირსებას იცავს.

სოლომონ თავაძის წიგნი ამ დიდი ლიტერატურული მოძრაობის დამწყებ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება. ამიტომ იმსახურებს იგი განსაკუთრებულ ინტერესსა და ყურადღებას თავისი როგორც ღირსებებით, ისე სუსტი მხარეებით.

რომანში ასახული მოქმედება სამამულო ომის მძაფრსა და მრისხანე დღეებში სწარმოებს. ამ მოქმედების უშუალო სარბიელს ფრონტი თუ ფრონტისპირა მიდამოები შეადგენენ. ამბავი იწყება 1941 წლის 22 ივნისს, იმ ისტორიულ დღეს, რომელმაც ერთბაშად გამოიყვანა ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანი მშენებლობის მდგომარეობიდან და იგი უცხოელ ვერაგ დამპყრობელთა შესამუსრავად ამხედრებულ ერთიან საბრძოლო ბანაკად აქცია.

ძირფესვიანად შეიცვალა რომანის მთავარი გმირების, ჩვენი დროის ტიპიური ახალგაზრდა ადამიანების — სამსონისა და ეთერის ცხოვრებაც. ისინი ერთმანეთისადმი წრფელი ტრფიალების გრძნობით იყვნენ შეპყრობილნი, მაგრამ ამ გრძნობას ჯერ კიდევ გამოუთქმელად ატარებდნენ გულში, თითქოს ორივენი თანაბარის გატაცებით ემზადებოდნენ შესაფერი ცხოვრებისათვის, რომ მთელის ცხოვრებით დაკავშირებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ ამოვარდა სამამულო ომის ქარიშხალი. მთელი ქვეყანა წმინდა პატრიოტული ბრძოლისათვის აღსდგა და სამსონსა და ეთერსაც ეხლა პირადი ბედნიერებისათვის აღარ სცალიათ. „ჯერ გავიმარჯვოთ... ხომ გესმის?“ უთხრა ეთერმა სამსონს. ამ სიტყვებით დამშვიდობნენ ისინი ერთმანეთს და თავიანთი მაღალი პატრიოტული ვალის მოსახდელად გაემართნენ ბრძოლის ველისაკენ — სამსონ, როგორც მებრძოლი ვაჟკაცი, ეთერი, როგორც მებრძოლთა თავდადებული მეგობარი და თანაშემწე, დაჭრილთა მომვლელი და მზრუნველი.

ამ ორი ადამიანის თავგადასავალი, ბრძოლის ველზე მათ მიერ ნახული და განცდილი მოვლენები შეადგენენ რომანის შინაარსს. ერთბაშად მოექცნენ ისინი მძაფრ საომარ გარემოცვაში. მათ მრავალი განსაცდელი გადაიტანეს — სამსონმა ბრძოლის ველზე, ხოლო ეთერმა საველე ჰოსპიტლებში. არა ერთხელ შეხვდნენ პირისპირ ვერაგსა და დაუნდობელ მტერს. თავიანთ თავზე გამოსცადეს მათ ამ მტრის მუხანათობა და სისასტიკე. არა ერთხელ გამხდარან ისინი მახლობელი მეგობრისა და თანამებრძოლის დაღუპვის მოწმენი და თვითონაც მრავალჯერ ვაჟკაცურად დახვედრიან მოახლოვებულ უკიდურეს ხიფათს. და ამგვარ გარემოცვაში გამოწრთობილნი, გაზრდილნი და გადასხვაფერებულნი შეხვდნენ ისინი ერთმანეთს სრულიად მოულოდნელად, ეთერისათვის საბედისწერო ვითარებაში. ამ შეხვედრის ეპიზოდით მთავრდება რომანი, რომლის სიუჟეტური რკალიც ბრძოლის ველზე გამგზავრების წინ ეთერსა და სამსონის ერთმანეთთან დამშვიდობების ეპიზოდით გაიხსნა.

ამ ორი მთავარი გმირის გარშემო არის შემოკრებილი რომანის ყველა პერსონაჟი. სამსონი გზაშივე დაუახლოვდა და დაუძმობილდა თავის მომავალ თანამებრძოლებს — მამედ ქერიმოვსა და მიხეილ სენკოს. ამ „წრთობილი სამეულის“ (როგორც ავტორი უწოდებს) უშიშარი და ვაჟკაცური ბრძოლა, მათი თავდადებული მეგობრობა, გამჭრიახობა, გულადობა და განსაცდელის ჟამს ქედუხრელობა განასახიერებს ამ რომანში საბჭოთა ადამიანების იმ მაღალ თვისებებს, რომელთა მეოხებითაც ჩვენი სამშობლო რაინდულად იგერიებს მტრის ურდოებს და აღტაცებას ჰგვრის მთელ პროგრესიულ კაცობრიობას.

თავის მხრივ ეთერიც ღირსეულ თანამებრძოლ ქალთა გარემოცვაში მოხვდა. ეთერთან ერთად დაუცხრომლად, დაუსვენებლად, თავდადებით, მებრძოლებისადმი უნაზესი სიყვარულით და გულისხმიერებით მუშაობენ ტატიანა პავლოვნა, მარიკა, კატერინა, რომლებიც თავიანთი მოქმედებით, აზრებითა და განცდებით საბჭოთა ქალის მებრძოლ-პატრიოტულ სულისკვეთებას, მაღალ მორალურ ღირსებას, შინაგან კეთილშობილებას განასახიერებენ.

მომქმედ პირთა ამ ორი ძირითადი ჯგუფის გვერდით რომანში გამოყვანილია ეპიზოდურ პერსონაჟთა მთელი მასა, რომელშიც ზოგიერთი სახე (როგორც, მაგალითად, პოლიტხელი შალვა ყიფშიძე) უფრო სრულად და მკაფიოდ არის გამოკვეთილი.

რომანი საბრძოლო ეპიზოდების უწყვეტი თანმიმდევრობის სახით ვითარდება. მოქმედება უმრავლეს შემთხვევაში უშუალოდ ბრძოლის ველზე სწარმოებს. ზოგჯერ იგი მტრის ზურგში გადადის, მტრის მიერ ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში, ჰოსპიტალში თუ ფრონტისპირა საბჭოთა სოფელში. ამიტომაც რომანი საბრძოლო ატმოსფერით არის გაჟღენთილი.

წრფელი მღელვარებით მოგვითხრობს მწერალი ამ მოვლენათა შესახებ და ამ სიწრფელეში, რომანის საფუძვლად აღებული მასალის ცხოველმყოფელ აქტუალობაში, რომანის საერთო კონცეპციის ღრმა ისტორიულ სიმართლეში მდგომარეობს ამ ნაწარმოების ღირსება.

სამწუხაროდ, ავტორი ნაკლებად იცნობს იმ მასალას, რომელზედაც აგებულია მისი ნაწარმოები. ცოცხალი სინამდვილის ცოდნა, საკუთარი დაკვირვება და გამოცდილება აქ მთლიანად შეცვლილია მწერლის ფანტაზიით, და უპირველეს ყოვლისა აქედან გამომდინარეობენ ის ძირითადი ნაკლოვანებანი, რომლებიც საგრძნობლად ამცირებენ ამ რომანის შემოქმედებითს ძალას, მის შემეცნებითსა და ესთეტიურ ღირებულებას.

აშკარად იგრძნობა, რომ მწერალს არა მარტო უშუალოდ არ განუცდია სამამულო ომის ფრონტის ატმოსფერა, არამედ ნაკლებად უსარგებლნია ჩვენს პრესაში უხვად გამოქვეყნებული საბრძოლო ეპიზოდებით თუ სამამულო ომის მონაწილეთა უშუალო ნაამბობით, მწერალი უმთავრესად საკუთარ ფანტაზიას, საკუთარი გამომგონებლობის ძალას დამყარებია და რაკი ეხლანდელი დიადი ბრძოლის სინამდვილე ამ ფანტაზიის შესაძლებლობას აღემატება, ამიტომ რომანში ასახული სურათები ზოგჯერ უფრო მკრთალი და ნაკლებად ემოციურია, ვიდრე ჩვენთვის ყოველდღიური პრესის მეშვეობით ცნობილი ფაქტები.

რომანი ზედმეტად არის დატვირთული გმირთა პირადი, ინტიმური ცხოვრების ამბებით. თითქოს სავალდებულო იყოს გავიგოთ ასეთი უდიდესი ბრძოლის ქარცეცხლში გახვეული ყოველი ადამიანის რომანიული თავგადასავალი, ვიცოდეთ, თუ ვინ უყვარს ან უყვარდა ყოველ მათგანს, ან რით დამთავრდა ეს სასიყვარულო ისტორია.

ასეთი ინტიმურ-რომანიული ელემენტის გაძლიერებით ავტორი ცდილობს შეავსოს რომანის ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად თავს იჩენენ უცნობ მასალაზე წერის პირობებში. ამითვე აიხსნება ის, რომ ავტორს ხშირად გადავყევართ თავის პერსონაჟთა მოგონებების, ოცნებების, სიზმრებისა და წარმოდგენების სფეროში. აქ უფრო ადვილია სამწერლო ფანტაზიის გაშლა, ცოცხალი, კონკრეტული სინამდვილიდან აბსტრაგირება.

რომანის სიუჟეტი შემთხვევით სიტუაციებს ემყარება, რაც უეჭველად ასუსტებს მოთხრობილ ამბავთა დამაჯერებლობას, უკარგავს მათ ტიპიურ, განზოგადოებით მოვლენათა მნიშვნელობას. თუ, მაგალითად, სამსონის მეგობრები მამედი და მიშა მტრებმა ხელთ იგდეს, მათ მაინცდამაინც იმ სახლში მიიყვანეს, რომლის ეზოშიც სამსონი იმალება, რათა ამ უკანასკნელმა განსაცდელისაგან იხსნას თავისი ძმობილები. თუ ეთერი გერმანელმა ოფიცერმა შეიპყრო და გაუპატიურება დაუპირა, ეს სწორედ იმ მომენტში მოხდება, როდესაც მოქმედების ადგილას სამსონმა და მისმა მეგობრებმა უნდა გაიარონ, რათა სამსონმა განსაცდელისაგან იხსნას თავისი სატრფო და სხვ.

რომანში მოქმედ ოთხი ქალიდან სამნი — მარიკა, ეთერი და კატერინა — საბრძოლო გარემოცვაში მოულოდნელად შეხვდებიან თავიანთ ქმრებს თუ სატრფოებს და მხოლოდ მეოთხე, ტატიანა პავლოვნა, რჩება მოკლებული ამ ბედნიერებას, ისიც იმიტომ, რომ მისი ქმარი თეთრფინელებთან ბრძოლაში დაღუპულა. რომ ამ „წვრილმან“ შემთხვევას არ შეეფერხებინა მწერალი, იგი უეჭველად ტატიანა პავლოვნასაც შეახვედრებდა თავის ქმარს სურათის სისრულისათვის.

შემთხვევითი გარემოებების ასეთი სიმრავლე ბუნებრიობას უკარგავს და ნაძალადევ, ხელოვნურ ხასიათს აძლევს თხრობას.

რომანში ძალზე გაიოლებულად არის ასახული ისეთი მოვლენები, რომლებიც სინამდვილეში ასე მარტივად და იოლად როდი ხდებიან. რამდენჯერმე აღგვიწერს ავტორი ისეთ ეპიზოდებს, როდესაც სამსონი ან მარტო, ან ორისამი თანამებრძოლის თანხლებით შეიჭრება გერმანელების მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტებში და ყოველი ასეთი ოპერაცია სამსონის გამარჯვებით და მტრების განადგურებით მთავრდება.

ასეთი ეპიზოდების დახატვით მწერალს განზრახული აქვს გვიჩვენოს საბჭოთა მებრძოლის მამაცობა და გამბედაობა. მაგრამ ავიწყდება, რომ ჩვენი ხალხის გმირობის გამოსახატავად სრულიადაც არ არის საჭირო ხელოვნურად დავამციროთ მტრის ძალები და არასწორი წარმოდგენა შევუქმნათ მკითხველს იმ საშიშროებაზე, რომელსაც წარმოადგენს ჰიტლერის ჯოჯოხეთური საომარი მანქანა.

ლამობს რა მწერალი გვიჩვენოს საბჭოთა მებრძოლის მაღალი მორალური სახე, მისი ჰუმანიურობა, ხშირად უკიდურესობაში ვარდება და თავისი რომანის დადებით გმირებს გულუბრყვილო, სენტიმენტალური ხასიათის ადამიანებად გვისახავს, რომლებიც გაურბიან მტრის სისხლის დაღვრას და სრულიად გაუმართლებელ სიბრალულსა და გულჩვილობას იჩენენ ვერაგი მტრის მიმართ.

დასასრულ ერთი შენიშვნაც: რომანის ავტორს განუზრახავს თავისი მთავარი გმირების საბრძოლო მეგობრულ ურთიერთობაში განასახიეროს საბჭოთა ხალხების ურღვევი სტალინური ძმობისა და მეგობრობის მაღალი იდეა. ამიტომ რომანის პერსონაჟები ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ხალხთა შვილებისაგან არის შედგენილი. ამ მხრივ რომანის პერსონაჟი სავსებით შეესაბამება ავტორის მიზანდასახულებას, მაგრამ ნაწარმოების მომქმედ პირთა საერთო შეფარდება ვერ გვიჩვენებს იმ წამყვან და მოწინავე როლს, რომელსაც დიდი რუსი ხალხი ასრულებს საბჭოთა ხალხების ეხლანდელ დიად ბრძოლაში ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, უაზრობა იქნებოდა დაგვეწესებინა მწერლისათვის რაიმე სავალდებულო პროპორციები ნაწარმოების მომქმედ პირთა ნაციონალური შემადგენლობის თვალსაზრისით. მაგრამ ამ მხრივაც მხატვრულმა ნაწარმოებმა მდგომარეობის მართებული გამოხატულება უნდა მოგვცეს.

ჩვენ განზრახ შევაჩერეთ ყურადღება სოლომონ თავაძის რომანის აღნიშნულ ნაკლთა დახასიათებაზე, რათა ანალოგიური დეფექტებისაგან დაზღვეულ იქნას ის დიდი შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც იწყება ჩვენს მწერლობაში სამამულო ომის სახელოვანი ეპოპეის მხატვრული განხორციელებისათვის.

თხრობის მეტი სიმართლე და ბუნებრივობა, ამბავთა მეტი ტიპიურობა და დამაჯერებლობა უნდა იქნას მიღწეული ამ მუშაობაში. ეს კი პირველ ყოვლისა მასალის უფრო ღრმად შესწავლასა და დაუფლებას მოითხოვს.

გორკის სახელობის ლენინგრადის თეატრი

ლენინგრადის გორკის სახელობის დიდი დრამატიული თეატრი უკვე რვა თვეა იმყოფება ქალაქ კიროვში, სადაც მან მაყურებელს უჩვენა თავისი ძველი დადგმები: „ალუბლის ბაღი“, „ყმაწვილი ჩვენი ქალაქიდან“, „მგლები და ცხვრები“, „კრემლის კურანტები“ და სხვ.

თეატრმა აღადგინა „დონ კარლოსი“, რომელიც 5 წელიწადია აღარ დადგმულა თეატრში. თეატრმა შემდეგი ახალი დადგმები განახორციელა: „ფელდმარშალი კუტუზოვი“, „ფრთოსანი თაობა“, „სასტუმროს დიასახლისი“, „სახლი გორაკზე“ და მზადდება „კრეჩინსკის ქორწილი“.

მწერალთა ბრიგადები მომსახურებას უწევენ წითელარმიის მებრძოლებს

სამამულო ომის პერიოდში პოლიტიკური პროპაგანდისა და აგიტაციის ფორმები და მეთოდები განსაკუთრებულად მოქნილი და მრავალფეროვანი უნდა იყოს. ბოლშევიკური სიმართლის აღმგზნები სიტყვები, საბრძოლო პატრიოტული სიმღერა და ლექსი, ნოველა, ნარკვევი, გაჟღენთილი დღევანდელი დღის ჰეროიკითა და დრამატიზმით, ჰუმორული მოთხრობა და სატირა დიდს სამსახურს უწევენ ადამიანთა შეკავშირებას, ამაგრებენ გამარჯვებისადმი მათს ნებისყოფას, აღანთებენ გმირობისათვის, აღრმავებენ მტრისადმი სიძულვილს.

წითელი არმიის საოლქო სახლმა პოლიტსამმართველოს დავალებით ამ ორი თვის წინად ჩამოაყალიბა მწერალთა ბრიგადა, რომელმაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს პოლიტმუშაკებს მებრძოლთა შორის საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაში.

ბრიგადაში შეყვანილ იქნა ი. ვსევოლოჟსკი, ა. სიტკოვსკი, ი. სნეგირიოვი, ვ. მიაკუშკოვი, მ. პატარიძე და ს. თავაძე.

ბრიგადა აწყობს ლიტერატურულ შეხვედრებს მებრძოლებთან, მეთაურებთან და პოლიტმუშაკებთან, შემოქმედებითს საუბრებს ახალგაზრდა არმიელ პოეტებთან და მწერლებთან. უკვე ორი თვეა ბრიგადა მუშაობს. ბრიგადის წევრები წითელარმიელთა და მეთაურთა შორის უკვე საკმაო ავტორიტეტით სარგებლობენ, ყოველ მათ გამოსვლას დიდის ინტერესითა და აღფრთოვანებით ხვდებიან. ამ ხნის განმავლობაში მწერალთა ბრიგადამ მოაწყო 99 გამოსვლა. მწერალთა გამოსვლები ეწყობოდა **ლენინის** ოთახებში, სამკითხველოებში, რკინიგზის სადგურების საგიტაციო პუნქტებზე, ველად და სხვ.

ბრიგადის მუშაობა თემატურად წინასწარ გამიზნულია: შესავალი სიტყვა შეეხება საბჭოთა ლიტერატურას სამამულო ომის პირობებში, ლექსები და მოთხრობები, რომელთაც მწერლები კითხულობენ, გამოხატავენ საბჭოთა ხალხების გმირულ სულს, მოგვითხრობენ შესანიშნავ მებრძოლთა გმირულ საქმეებზე.

ბრიგადაში მომუშავე მწერლები დიდს დახმარებას უწევენ დამწყებ არმიელ მწერლებსა და პოეტებს. ამ პერიოდში მათ მოაწყეს 40-მდე კონსულტაცია, დახმარება გაუწიეს წითელარმიელთა გაზეთს „სადარაჯოზე“ ახალგაზრდა პოეტების ლიტერატურული ჟურნალის რედაქტირებაში, ჩაატარეს სემინარი სამხედრო კორესპონდენტთა კონფერენციაზე.

წითელი არმიის სახლმა ამ ბრიგადის გამოცდილების საფუძველზე შექმნა მწერალთა მეორე ბრიგადა, რომელშიაც შედიან შალვა დადიანი, გიორგი კაჭახიძე, როდიონ ქორქია, ანდრო თევზაძე და ს. მთვარაძე. ბრიგადას შალვა დადიანი მეთაურობს.

კინოდრამატურგის ბიბლიოთეკა

მოსკოვის სახელმწიფო კინოგამომცემლობა შეუდგა კინოდრამატურგიის დარგში წიგნების სერიის გამოცემას. ეს სერია განკუთვნილია არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო მასებისათვისაც. „კინოდრამატურგის ბიბლიოთეკაში“ შევლენ საბჭოთა და საზღვარგარეთული კინოდრამატურგიის სხვადასხვა ჟანრის თვალსაჩინო ნაწარმოებები.

ყოველ წიგნს წამძღვარებული ექნება ვრცელი შესავალი წერილი, სადაც, გარდა სცენარის საერთო შეფასებისა, მოცემული იქნება მისი დრამატურგიული ანალიზი.

„კინოდრამატურგის ბიბლიოთეკა“ გამოვა რამდენიმე წლის განმავლობაში. ამ სერიაში შევა კინოდრამატურგიის მრავალი ნიმუში. პირველ რიგში გამოიცემა შემდეგი სცენარები: ძმ. ვასილიევების „ჩაპაევი“, ვს. ვიშნევსკის „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“, ევგ. გაბრილოვიჩის „მაშენკა“ და საზღვარგარეთული სცენარები: ბენ ხეკტის „ვივა ვილა“, რ. რისკინის „მისტერ დიდსი გადადის დიდ ქალაქში“, ი. დალრიპლის, ფ. უიდისა და ხელის „ციტადელი“ და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე ქარიშხლის ძალა ჰქონია

იოსებ ნონეშვილი

ბაღჩას დაეტყო ისევ სინაზე,
მწვანე ფოთლებში მაისი ფეთქავს.
წითლად ღაღადებს ვარდი შირაზის
და ლეილაღი ქათქათებს თეთრად.

ვარდების შუქი ირხევა ირგვლივ,
დგას სიმშვიდე და დუმილი სრული.
ბუჩქის ქვეშ, სკამზე ცისფერი წიგნი
შარშანდელ ვარდით დევს ჩანიშნული.

დილით აქ ნელი ნიავის ენით
ისმის ყვავილთა ჩურჩული წყნარი:
„სად არის ნეტავ პატრონი ჩვენი,
ის თვალუჟუჟუნა პატარა ქალი".

შეირხევიან ვარდები წყენით,
მათი ჩურჩული ბაღჩას დაფარავს.
„სად არის ნეტავ პატრონი ჩვენი,
ის თვალუჟუჟუნა ქალი პატარა!?...

მაგრამ ვინ უთხრათ ამბავი მისი,
გრიგალთა გრგვინვის ამბავი მძიმე.
როცა მათ მშვიდად ეძინათ კვირტში
და გაზაფხულის ელოდნენ სხივებს,

დაიძრა ურდო ხმალანალესი
როგორც საავდრო ღრუბელი შავი.
სურდათ გაეხმოთ ვარდების ფესვი
და წყაროს თვალში ჩაესხათ შხამი.

სურდათ ცრემლები ჩვენი დედების,
სურდათ აეკლოდ ცა და ქვეყანა
და მოლღულღუნე თეთრი მტრედები —
ბავშვები ცეცხლში გადაეყარა.

მაგრამ გაისმა გმირების გრგვინვა
და მტერს ეჯახნენ ჯავშანის მკერდით
და ის გოგონაც, თვალებციმციმა
ფრონტზე წავიდა მამების გვერდით.

წავიდა, მტკიცედ წაიყოლია
ქართველ ქალების სიმხნე ქებული.
თურმე ქარიშხლის ძალა ჰქონია
იმ მტრედის გულში ჩაბუდრებული.

აქ კი, ბაღჩაში ყვავილთა ირგვლივ
დგას სიმშვიდე და დუმილი სრული
და ერთად ერთი ცისფერი წიგნი
შარშანდელ ვარდით დევს ჩანიშნული.

გამარჯვებამდე დრო ცოტა დარჩა
და მტერი როცა განადგურდება,
თავის ეზოს და საყვარელ ბაღჩას
გამარჯვებული დაუბრუნდება.

მოვა ყვავილთა უნაზეს ფერში
იგრძნობს სიცოცხლეს ახლად ჩასახულს
და მიეცემა ძალა და ეშხი
ბუნებისა და ხალხის გაზაფხულს.

ლიტერატურული საღამო ფოთში

მაისის შუა რიცხვებში ფოთის ცენტრალურ აგიტპუნქტში საქალაქო ბიბლიოთეკასთან არსებულმა სალიტერატურო წრემ მოაწყო საბჭოთა ხალხის სამამულო ომისადმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამო.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა განათლების განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. ვ. კიწურეიშვილმა.

მოხსენება თემაზე: „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი და ქართული პოეზია" წაიკითხა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. ილ. ქოიავამ.

საღამოზე თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს ახალგაზრდა ავტორებმა ხ. ლოლუამ, გოგიბერიძემ და ბ. კონჯახიამ.

საღამოში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ფოთის დრამატიული თეატრის მსახიობებმა ა. მაგრაქველიძემ და მ. ანთელავამ და მოსწავლეებმა ლ. ინგოროყვამ და ვ. გუჯაბიძემ. განზრახულია ასეთივე საღამოები მოეწყოს რაიონის კოლმეურნეობებშიაც.

მეფანდურე

სოფიო ლევიტინა

ბრმა მათხოვარს—მეფანდურე ოსტაპს—ყველა იცნობდა, დიდიც და პატარაც. მაღალი კაცი იყო, ძარღვიანი, ბრტყელ-სახიანი. მხარზე ჩანთა-გადაკიდებული, მარჯვენა ხელში როკიანი ჯოხით დადიოდა იგი უკრაინის ქალაქებსა და სოფლებში. გაჩნდებოდა მოედანზე ან ბაზარში, სადაც ხალხი გროვდებოდა, გაშლიდა პატარა დასაკეც სკამს, დაჯდებოდა ზედ, ფეხთით, მიწაზე დასდებდა თუნუქის ტოლჩას ფულის შესაგროვებლად, მერე ჩანთიდან ამოიღებდა ძველ ფანდურს, გადაუსვამდა ხელს, თითქოს საყვარელ სახეს ელერსებაო და ჩამოჰკრავდა სიმებს, დაამღერებდა.

და მისი ხმა—ძლიერი, საამო ხმა—ტალღასავით მიგორავდა ჰაერში.

უფრო და უფრო მჭიდროვდებოდა მის გარშემო წრე. სმენად გადაქცეულნი ივიწყებდნენ ყველაფერს, გულის ფანცქალით ისმენდნენ მეფანდურის სიმღერას. ის კი მღეროდა ჰაიდამაკებზე, ზაპოროჟიეს სეჩზე—უკრაინის დიად წარსულზე.

ტიროდა ფანდური მისი თითების მოძრაობაზე, ტიროდნენ ირგვლივ ადამიანებიც.

მაგრამ აგერ გაავთრებული შეიჭრება ხალხში პოლიციელი, მრისხანედ დასჭყივლებს მსმენელებს:

— დაიშალენით, თქვე ბინძურო ხახოლებო, მოშორდით აქაურობას!

თითქოს გამოფხიზლდნენო, შეგროვილნი სწრაფად ჩაჰყრიან სპილენძის შაურიანებს ტოლჩაში, მოიწმენდენ ცრემლისაგან სველ თვალებს და განშორდებიან იქაურობას, თან წაიღებენ სევდას, ბოღმას, ფიქრს თავისუფლებაზე, უკეთეს ცხოვრებაზე—ისე ჩარჩებათ მეფანდურის სიმღერა გულში, როგორც ტყვია ჩარჩება ხოლმე სხეულში.

ოსტაპი ფრთხილად სდებს ფანდურს ჩანთაში, ჰკეცავს სკამს და როკიანი ჯოხით აწყებს გზის მოსინჯვას, სივრცის გაზომვას.

მთლად დაკაწრული ძველი ფანდური ოსტაპს დაუტოვა ბაბუამ, თავის დროზე გამოჩენილმა მეფანდურემ. მაშინ ოსტაპი სულ ახალგაზრდა იყო, თითქმის ბავშვი.

განვლეს წლებმა. ქარიშხალივით გადაიქროლა ჩვენს ქვეყანაზე დიადმა ოქტომბერმა, რომელმაც წალეკა მონობა და დააყენა ხალხები ახალ გზაზე. გაიფურჩქნა, გადიშალა ცხოვრება. ხალისიანი შრომით გაივსო დღე.

დადგა ახალი ცხოვრება და ახალი სიმღერა დაამღერა მეფანდურემ:

თავისუფალია ჩვენი უკრაინა,
ყვავილობს ლაღი და მაღალი.
ჩვენ ღვიძლმა ლენინმა და მამამ სტალინმა
შეგვიქმნეს ცხოვრება ახალი.

მღეროდა ოსტაპი და სიხარულით იღიმებოდნენ ირგვლივ ყველანი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე იუხიმ გუდზია გულუხვად უმასპინძლდებოდა ოსტაპს და ეუბნებოდა:

— მეტად ტკბილი ხმა გაქვს, ბაბუა ოსტაპ, თაფლივით ტკბილი! გულსა ხვდება შენი სიმღერა.

უსინათლო მეფანდურის სახელმა დედაქალაქამდე მიაღწია. წაიყვანეს კიევს, ამღერეს ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერის დიდ თეატრში. დაამღერა ოსტაპმა თავის ფანდურზე შევჩენკოს სიმღერები წარსულზე—მეფის დროინდელ მონობაზე, დაამღერა აგრეთვე თანამედროვე სიმღერები—ახალ ცხოვრებაზე და ზანზარებდა დარბაზი ტაშისაგან. ოსტაპი იდგა, უსინათლო თვალები დარბაზის ჭერს მიაპყრო, ყური დაუგდო ტაშს და ბედნიერებისაგან უხმოდ ატირდა.

გამოცვლილი, გაახალგაზრდავებული დაბრუნდა ოსტაპი სოფელში. და საღამოთი აკანკალებული ხმით უამბობდა იგი თავის მეგობარს იუხიმ გუდზიას ყოველივე იმას, რაც მან კიევში განიცადა.

— ნუ გგონია, იუხიმ, იგივე ოსტაპი ვიყო ახლა, რაც წინად ვიყავი. არა, დავეხეტებოდი მაშინ ამ ქვეყნად, ჩემი ადგილი ვერ მეპოვნა ცხოვრებაში. ახლა? ახლა ვიცი ჩემი ადგილი: ჩემ სამშობლოსთვის, მისი სახელისა და სიხარულისთვის ვიმღერებ ამიერიდან.

შეიცვალა ოსტაპის ცხოვრება. ყოველთვიურად ბრმა მეფანდურეს პენსია ეძლეოდა სახელმწიფოსაგან. სოფლის საბჭომ ახალი, ხალვათი სახლი აუგო, მოაწყო იგი ავეჯით, როდესაც ოსტაპი თავის სახლში შევიდა, ხელებით მოსინჯა კედლები, ავეჯი, ყველაფერი, რაც კი იქ იყო.

მიუხედავად ამისა, ოსტაპი წინანდებურად დაიარებოდა უკრაინის ქალაქებსა და სოფლებში, მღეროდა მოედნებზე, თეატრებში, კლუბებში. კვლავინდებურად იკრიბებოდა მის ირგვლივ ხალხი. მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მღეროდა არა ბრმა მათხოვარი, არამედ სახალხო მომღერალ-მეფანდურე, იცოდა, რომ მას ხალხში მიაქვს თავისი სიმღერა, თავისი სული და გული.

მოიხარა ოსტაპი წელში, გაუჭაღარავდა თმა. მაგრამ ხმა არ უსუსტდებოდა. პირიქით, როგორც ძველ ღვინოს, ძალა და ღონე ემატებოდა, უფრო საამო ხდებოდა.

დაიწყო ომი. მტერი ქურდივით შემოიპარა, მკვლელივით შემოიჭრა მშობლიურ მიწა-წყალზე.

მოედანზე სოფლის საბჭოსთან ხალხი შეიკრიბა. ისმენდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარის იუხიმ გუდზიას სიტყვას.

— ვერაგი მტერი ჩვენ სოფელს უახლოვდება. დღეს ან ხვალ შემოიჭრებიან სისხლისმსმელი აფთრები. უნდა შევასრულოთ სტალინის ბრძანება. დეე, ყოველი მეტრი ჩვენი მიწისა გერმანელების საფლავად გადაიქცეს!

და ერთი საათის შემდეგ აჭრიალდნენ ურმები, აბღავლდა საქონელი — ერეკებოდნენ პირუტყვს, ეზიდებოდნენ სახალხო დოვლათს. უკრაინელები სტოვებდნენ მამა-პაპეულს, ცეცხლს უკიდებდნენ ყველაფერს, რის წაღებაც შეუძლებელი იყო, რათა მტერს არაფერი დარჩენოდა.

ბაბუა ოსტაპი ჩაფიქრებული, თავჩაქინდრული იჯდა თავის ახალ, ხალვათ სახლში. ესმოდა ურმების ჭრიალი, ბავშვების ტირილი, ძროხების ბღავილი. იცოდა: თავათ ხალხი ანადგურებდა ყველაფერს, სპობდა დოვლათს—თავისი შრომის ნაყოფს და სჩადიოდა ყოველივე ამას მტერზე გასამარჯვებლად.

ოსტაპი მძიმედ წამოდგა, აცახცახებული ხელებით მონახა ტანისამოსი, თავისი ძველი ფანდური, ჩასდო ყოველივე ეს ტომარაში, ზურგზე წამოიკიდა და გარედ გავიდა. ეზოში შედგა, ღრმად ჩაისუნთქა მშობლიური ჰაერი. მერე ფარდულში შევიდა, ჩალა გამოიტანა, სახლს ირგვლივ შემოუწყო და ცეცხლი წაუკიდა. კარგა ხანს გაშეშებული იდგა, ყურს უგდებდა, როგორ ტკაცუნებდა კედლების ხმელი ფიცარი. სახეზე სიცხე იგრძნო.

— იტკაცუნე ეგრე! დეე, ქარმა ნაპერწკლები მთელ უკრაინას მოსდოს და ყველგან სიძულვილის ცეცხლი დაანთოს ვერაგ მტრებისადმი!—ჩაიჩურჩულა ოსტაპმა.

და ჯოხის ბაკა-ბუკით სოფლის საბჭოსაკენ გაეშურა. იცოდა: იქ შეიკრიბებიან პარტიზანები, იქიდან გავლენ რაზმები.

სოფლის საბჭოს ეზოში ოსტაპთან იუხიმ გუდზია მივიდა.

— ბაბუა ოსტაპ, შენთან მოვდიოდი. უნდა გავუდგეთ გზას!—უთხრა მან.—პარტიზანების ნაწილი უკვე წავიდა. მე საღამომდე აქ დავრჩები, საქმე მაქვს. დაბინდებისას ყველანი წავალთ. შენ კი, ბაბუა ოსტაპ, ახლავე ზურგში უნდა გაგგზავნოთ.

— მეც თქვენთან მოვდივარ,—წყნარად მიუგო ოსტაპმა.

— რას ამბობს, ბაბუა? მოხუცი ხარ, უსინათლო, სად შეგიძლიან?

— ნუ გეშინიან, არ აგეკიდებით.

— გაიგე, აგრე ადვილად ვერ გაგწირავთ. ზურგში უნდა გაგგზავნოთ, იქ არის შენი სიმღერა საჭირო, ჩვენ კი, პარტიზანებს, ტყვია გვჭირია.

— სიტყვაც, იუხიმ, ტყვიასავით ჰგმირავს კაცის გულს, სიმღერა კი ზარბაზნივით გუგუნებს და ცეცხლს აფრქვევს... რაც გინდა მიყავი, ზურგში ვერ წავალ.

— ძალით გაგგზავნით!—გაჯავრდა იუხიმი.—გაიგე, ტყეში ვერ წაგიყვან დასაღუპავად!

ვინ იცის, რით გათავდებოდა ეს დავა მეგობრებს შორის, რომ ქუჩის ბოლოდან სროლა არ გაეგონათ. მალე ქუჩაში ქარივით ჩაიქროლეს მტრის ტანკებმა. სროლის ხმაში აირია ქალების კივილი, ბავშვების ტირილი. ღონიერმა ხელმა განზე გაიყვანა ბაბუა ოსტაპი და ფარდულში შეაგდო.

— აქ იჯექი ჩემს მოსვლამდე!—და ოსტაპმა იცნო იუხიმის ხმა.

ოსტაპმა ხელი მოუცაცუნა ფარდულის კედლს და იქვე მიწაზე დაეშვა. ყრუდ, კანტიკუნტად უცემდა გული მკერდში, და მეფანდურემ უეცრად იგრძნო სიბერე და სიბრმავე, იგრძნო ისე, როგორც არასოდეს არ უგრძვნია მანამდე.

— მალე სამოცი შემისრულდება... ნუთუ იუხიმი მართალია?—გაიფიქრა ოსტაპმა.

ესმოდა მუხლუხების ღრაჭუნი, ტყვიების ზუზუნი, ადამიანების ყვირილი და კვნესა,—და უმწეო ცრემლები დასდიოდა მოხუცს უსინათლო თვალებიდან.

მერე ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. მარტოობა იგრძნო ოსტაპმა. რამდენი ხანია ნეტავ, რაც ფარდულში ზის? ალღოთი იგრძნო, რომ უკვე ბნელოდა. ფეხის ხმა გაიგონა,—ვიღაც ფრთხილად უახლოვდებოდა ფარდულს.

— აბა წავიდეთ!—ჩასჩურჩულა იუხიმმა—ცხენი უკვე შებმულია.

ოსტაპი და იუხიმი ფეხაკრეფით გავიდნენ ფარდულიდან და ბოსტნებისაკენ გაემართნენ, იქ მოულოდნელად მოესმათ შეძახილი და თოფის ჩახმახის ჩხაკუნი. გერმანელები იყვნენ.

ოსტაპმა ქვას ფეხი წამოჰკრა, წაიქცა. გაიგონა, როგორ გაიქცა იუხიმი, როგორ გამოუდგა ორი კაცი, სამი... იქნებ ხუთიც. მერე შორიდან მოესმა მისი ყვირილი, კვნესა... და ყველაფერი მიყუჩდა.

მთელ ღამეს მიწაზე ეგდო ბაბუა ოსტაპი, ბოსტანში, იქ, სადაც იუხიმი განშორდა. ახლო-მახლო ვიღაცები დარბოდნენ, მაგრამ სიბნელეში ვერ ხედავდნენ მიწაზე გაწოლილ მეფანდურეს.

გათენებისას გერმანელებმა თავი მოუყარეს ყველას, ვინც ვერ მოასწრო სოფლიდან გაქცევა. ხმამოუღებლივ ტიროდნენ დედაკაცები, დედებს ეკვროდნენ შეშინებული ბავშვები, დაქმარებულნი, თავდახრილნი იდგნენ მამაკაცები. გარს გერმანელი ჯარისკაცები ერტყნენ. მათი თოფები მზეზე ბრიალებდნენ.

სოფლის საბჭოსთან ღამე სახრჩობელა გაჩნდა. უკვე ქანაობდა მასზე ხუთი გვამი. მეექვსე მარყუჟთან ხელებ-გაკრული იუხიმ გუდზია იდგა. დასიებული, დალურჯებული ტუჩები და დასისხლიანებული სახე ცხადჰყოფდნენ მის ტანჯვას, იმას, თუ რა წამება უნდა გამოევლო ღამის განმავლობაში. მაგრამ თვალები, ნათელი და გაბედული, შევარდენისებური თვალები დაურიდებლად შეჰყურებდნენ გერმანელებს: დაუცხრომელი სიძულვილი გამოსჭვიოდა ამ თვალებიდან.

გერმანელი ოფიცერი დამტვრეული რუსულით ბოლშევიკებზე ლაპარაკობდა. მან ხელი გაიშვირა გუდზიასაკენ და სთქვა—ამ საათში ჩამოვახრჩობთო. ოფიცერი ყველას მორჩილებისაკენ მოუწოდებდა. ასე დავსჯითო ურჩებს.

უეცრად გაისმა ფანდურის ხმა. ყველამ დაინახა მოხუცი მეფანდურე, რომელიც სახრჩობელისკენ მიდიოდა. დინჯად, მედიდურად ადგამდა ნაბიჯებს. ქუდი არ ეხურა, ქარი თეთრ თმას უწეწავდა. ხელში ჯოხის ნაცვლად ფანდური ეჭირა, რომლის სიმებსაც ოდნავ ეხებოდა თითებით.

გერმანელები გაოცებული შეჰყურებდნენ მოხუცს. მალე სახეზე ღიმილმა გადაურბინათ:

ოოო, მუსიკა, მუსიკა! ძალიან კარგია მუსიკით ჩამოხრჩობა!—წამოიძახა ოფიცერმა.

ჯარისკაცებმა გზა მისცეს მეფანდურეს.

ბაბუა ოსტაპი სახრჩობელასთან მივიდა და აკანკალებული ხელით ჩამოხრჩობილი კაცის ფეხებს შეეხო. წუთით ხელი გაუშეშდა, სახე თმასავით გაუთეთრდა... და უეცრად მაგრა ჩამოჰკრა ოსტაპმა თითები სიმებს—გაისმა მძლავრი და მგზნებარე ხმა.

„მაშ დამმარხეთ, წამოდექით,
იწყეთ ბორკილთ მსხვრევა,
სილაღეზე მტარვალების
ბოროტ სისხლის ფრქვევა!"*)

და სიმღერა ნაღარის ხმასავით მოედო ხალხს, მოწოდებასავით მოხვდა ყველას გულს.

— სიკვდილი გერმანელებს! სიკვდილი სისხლისმსმელებს!—გაისმა ყოველი მხრიდან.

დედაკაცები გააფთრებულნი მივარდნენ ჯარისკაცებს, მამაკაცებმა სარები დააძრეს ღობეებს. აპრიალდნენ ცულები, ორთითები. გაისმა საპასუხოდ ავტომატების სროლა. მაგრამ ხალხის მრისხანება ქარიშხალივით იზრდებოდა, ნიაღვარივით მოდიოდა...

და ხალხმა გაიმარჯვა: გერმანელთა რაზმი, რომელმაც სოფელი დაიჭირა, მთლად განადგურებულ იქნა. სოფელმა ხელში ჩაიგდო გერმანელთა თოფები, ტყვიამფრქვევები, სამხედრო საჭურველი და ტყეში გაიკრიბა. მათ ბაბუა ოსტაპიც გაჰყვა, იგი მაგრა იხუტებდა გულში თავისი მეგობრის იუხიმ გუდზიას მკლავს. გადატანილი ტანჯვის შემდეგ იუხიმი სუსტად გრძნობდა თავს, დახმარება ესაჭიროებოდა.

— ბაბუა ოსტაპ, ბაბუა ოსტაპ! შენ გვიხსენი, მოხუცმა მეფანდურემ. შენ რომ არა...—ჩურჩულებდა იუხიმი.

— ხმა, კრინტი იუხიმ! და დაიხსომე: სამშობლოს მოყვარულმა გულმა სიბერე არ იცის. ასეთი გულიდან ამოხეთქილ სიმღერას ვერა ძალა ვერ შეაჩერებს. უსინათლო ვარ, მაგრამ ჩემი გული ყველაფერს ხედავს და ეს გული მეუბნება: კვლავ ვიმღერებ ჩემს მშობლიურ მიწა-წყალზე...

---

*) შევჩენკო: „ანდერძი". თარგმანი ს. ჩიქოვანისა.

„სიცოცხლე ბრძოლაა"

ასეთი სათაურით გამოვიდა ელიზბარ პოლუმორდვინოვის ახალი მოთხრობების კრებული. მთელი წიგნი სამამულო ომის თემატიკაზეა დაწერილი.

კრებულში დაბეჭდილია ავტორის შვიდი მოთხრობა, რომლებიც ამ ბოლო დროს დაიბეჭდა ჩვენს ლიტერატურულ პერიოდულ პრესაში.

კრებულში მოთავსებულია: „სიცოცხლე ბრძოლაა", „ვერაგი", „შურისძიება", „საჩუქრები", „წყურვილი", „მე ძმა ვარ შენი" და „მე ის მოვკალი".

წიგნი შეიცავს 108 გვერდს. წიგნი გამოცემულია „ფედერაციის" მიერ.

დავით გურამიშვილი—პრუსიელებთან ომის მონაწილე

ლევან ასათიანი

დავით გურამიშვილი თავის პოეტურ თავგადასავალში რამდენსამე ადგილას აღნიშნავს თავის მონაწილეობას პრუსიელებთან ომში. ერთგან ის ასახელებს პრუსიის ცნობილ ციხე-სიმაგრეს კიუსტრინს, მეორეგან ლაკონიურად აღნუსხავს პრუსიელებთან ცხარე ბრძოლების ცვალებად შედეგებს, და, ბოლოს, მწარედ იგონებს თავის ტყვედ ჩავარდნის ამბავს და მაგდებურგის ციხეში „კარებ-დანაკლეტად" ჯდომას.

ჩვენ გვსურს დავით გურამიშვილის ამ ფრაგმენტალურ ცნობებს ისტორიული ფონი აღვუდგინოთ და მოკლედ შევეხოთ იმ ეპოქალური მნიშვნელობის ამბებს, რომლების ძალაუნებური მონაწილეც გახდა სამშობლოდან გადახვეწილი შესანიშნავი ქართველი პოეტი.

• • •

1756 წლის ზაფხულს ევროპაში დაიწყო ერთი ყველაზე უფრო სისხლისმღვრელი ომთაგანი მსოფლიო ისტორიაში, რომელიც ცნობილია „შვიდწლიანი ომის" სახელწოდებით. ეს ომი 1763 წლამდე გაგრძელდა. ამ ომის მთავარი გამჩაღებელთაგანი იყო პრუსია, რომელსაც იმ დროს მართავდა ფრიდრიხ მეორე. ინგლისელი ისტორიკოსის მაკოლეის სიტყვით, ფრიდრიხ მეორემ თავის თანამედროვეთა შორის სავსებით მართებულად დაიმსახურა რეპუტაცია პოლიტიკოსისა, რომელიც „მოკლებული იყო სინიდისს, ისევე, როგორც ზრდილობას, იყო გაუმაძღარი, ხარბი და უნამუსო მატყუარა".[1] 1756 წელს ფრიდრიხ მეორემ, ისარგებლა რა ავსტრიის იმპერატორის სიკვდილით და მისი ასულის გამეფებით, მოიწადინა ავსტრიის პროვინციის საქსონიის დასაკუთრება. აგვისტოს დამლევს პრუსიის ლაშქარმა ომის გამოუცხადებლად გადალახა საზღვრები და დაიჭირა საქსონია. ამ აგრესიულმა ნაბიჯმა აღაშფოთა ევროპის სახელმწიფოები. პრუსიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ ამხედრდნენ ავსტრია, შვეცია, საფრანგეთი და რუსეთი. ასე დაიწყო შვიდწლიანი ომი, რომელშიც ჩათრეულ იქნა ევროპის ყველა მთავარი სახელმწიფო.

[illegible] ფრიდრიხი დარწმუნებული იყო, რომ თავისი გაწვრთნილი არმიით სულ იოლად დაამარცხებდა რუსეთის ლაშქარს: „მოსკოველები,—ამაყად ამბობდა იგი, — ველურ ურდოებს წარმოადგენენ. კეთილმოწყობილ ჯარს ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუძლებენ"[2].

რუსეთის არმია იმ დროს დაახლოებით 128 ათას კაცს შეიცავდა. არმიაში რეგულიარულ კავალერიასთან ერთად ირიცხებოდნენ ირეგულიარული ნაწილებიც. სამხედრო ისტორიკოსის ნ. კორობკოვის ცნობით, რუსეთის „ირეგულიარული მხედრობა შესდგებოდა ჰუსარების, კაზაკებისა და ნაციონალური რაზმებისაგან (კალმიკები, თათრები, ბაშკირები, მეშჩერიაკები). ჰუსართა ექვსი პოლკიდან პრუსიის კამპანიაში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ოთხი პოლკი, რომელთა საერთო რიცხვიც 4 ათას კაცს აღწევდა. ეს პოლკები (სერბიული, უნგრული, მოლდავური და ქართული) დაქირავებული მხედრობისაგან შესდგებოდნენ. ჰუსარები ჯამაგირს იღებდნენ, ხოლო მშვიდობიანობის დროს მთავრობისაგან მიცემულ მიწას ამუშავებდნენ. ეს პოლკები კარგი მეომრების რეპუტაციით სარგებლობდნენ".[3]

რუსეთის არმიის მთავარი ძალები პრუსიისაკენ 1757 წლის მაისში დაიძრნენ. ივლისის დასაწყისს აღებულ იქნა ქ. მემელი. პირველ აგვისტოს რუსეთის არმიის მოწინავე ნაწილები აღმოსავლეთ პრუსიაში შეიჭრნენ და ხუთი დღის შემდეგ დაიკავეს ქ. გუმბინენი, ხოლო 11 აგვისტოს — ქ. ინსტერბურგი. პირველი გადამწყვეტი შეხვედრა კი პრუსიის და რუსეთის ჯარებისა მოხდა სოფ. გროს-ეგერსდორფთან 30 აგვისტოს. ამ გააფთრებულ ბრძოლაში გამარჯვების სასწორი თავდაპირველად პრუსიელთა მხარეზე იხრებოდა, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც რუსეთის არმიას დარჩა. პრუსიელები სასტიკად იქნენ დამარცხებულნი და განადგურებულნი. ფრიდრიხის ჯარის ნარჩენებმა მხოლოდ გაქცევით უშველეს თავს. „მხოლოდ ერთად-ერთ სიკვდილში შემიძლიან ვპოვო თავშესაფარი და ნავთსაყუდელიო", — სწერდა ამ დამარცხების [illegible] ნელი გახდა. მას საბოლოოთ განადგურება მოელოდა, მაგრამ რუსეთის მხედრობის ბრწყინვალე გამარჯვება სავსებით გააქარწყლა უნიჭო და მოსყიდული მთავარსარდლის აპრაქსინის შემდგომმა მოქმედებამ. ნაცვლად იმისა, რომ დასდევნებოდა ფრიდრიხ მეორის ჯარის ნარჩენებს და დაესრულებინა მათი განადგურება, აპრაქსინმა მოულოდნელად უბრძანა თავის ლაშქარს უკან მობრუნება და საზამთროდ პოლონეთში დაბანაკება. აპრაქსინი თავის საქციელს ამართლებდა სურსათის უქონლობით და ზამთრის მოახლოვებით, ნამდვილად კი, როგორც გამოირკვა, იგი მოქმედებდა მტრის სასარგებლოდ და მისივე კარნახით. აპრაქსინის საქციელმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია როგორც არმიაში, ისე პეტერბურგის სამეფო კარზე და მმართველ წრეებში. დედოფალ ელისაბედის ბრძანებით აპრაქსინი დაპატიმრებულ იქნა, როგორც მოღალატე, და მისი საქმე სამხედრო სასამართლოს გადაეცა. მაგრამ აპრაქსინი ვერ მოესწრო თავის განაჩენს: იგი გარდაიცვალა დამბლისაგან.

ელისაბედის ბრძანებით, იმავე წლის დამლევს რუსეთის არმია ხელახლა დაიძრა აღმოსავლეთ პრუსიისაკენ. 1758 წლის 21 იანვარს ორ კოლონად გაყოფილი რუსის ჯარი კენიგსბერგის კედლებს მიადგა. რუსეთის არმიას სარდლობდა გენერალი ფერმორი, ხოლო კოლონებს მეთაურობდნენ სალტიკოვი და რუმიანცევი.

კენიგსბერგის მცირერიცხოვანმა გარნიზონმა უომრად მიატოვა ქალაქი. კენიგსბერგის უმაღლესი მოხელეები დიდის ზეიმით შეხვდნენ ფერმორს და გადასცეს მას ქალაქის გასაღები, რომელიც შემდეგ პეტერბურგს იქნა გაგზავნილი. „24 ივნისს, სწორედ ფრიდრიხის დაბადების დღეს, დაიწყო იმ მხარის მცხოვრებთა დაფიცება ერთგულებაზე. თვით კენიგსბერგში ეს ამბავი დიდის ზეიმით იქნა ჩატარებული. წაკითხულ იქნა ელისაბედის მანიფესტი. ფიცს იღებდნენ ჯერ უმაღლესი თანამდებობის პირნი, შემდეგ უნივერსიტეტი (რომლის შემადგენლობაში ითვლებოდა დოცენტი ემმანუილ კანტი), დაწესებულებათა მოხელეები... ამის შემდეგ დაფიცებულ იქნა დანარჩენი მოსახლეობაც".[4]

ივნისამდე რუსეთის სარდლობა არავითარ სამხედრო მოქმედებას არ აწარმოებდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აღმოსავლეთ პრუსიის ოკუპაციას. ივნისის ნახევარში რუსი [illegible] თურთ ლიაში დაეფლა, იმის მონასიბად ღვთისმშობლის ქება".

კიუსტრინის ციხე-ქალაქი მდებარეობდა იმ ადგილას, სადაც მდ. ვარტა მდ. ოდერს შეერთვის. ქალაქის გარშემო მიდამოები დაფარული იყო ჭაობით და ძნელად გასავლელ ადგილს წარმოადგენდნენ. ციხე-სიმაგრე ძველნაშენი, იტალიური ტიპის ნაგებობა იყო. აი როგორ აგვიწერს ისტორიკოსი ამ ციხის გარემოცვას რუსი ჯარის მიერ: „15 აგვისტოს ოთხი ათასამდე ქვეითი ჯარი და ათასი კაზაკი თექვსმეტი ზარბაზნით მიადგა სიმაგრეს და დაიწყო ოპერაციები... კაზაკები იერიშზე გადავიდნენ და უკუაქციეს მტრის მხედრობა, გამოუდგნენ მას და დაიკავეს ქალაქის სანახები. ჭაობიანმა ნიადაგის და სახლებში ჩამალულ მტრის ჯარისკაცთა სროლამ კაზაკები ერთხანს დააყოვნა და ამან დამარცხებულ პრუსიელთა ცხენოსან ჯარს საშუალება მისცა სიმაგრეში თავის შეფარებისა. 16 აგვისტოს დილით დაიწყო ციხე-სიმაგრის ბომბარდირება. პირველმავე ბათქებმა ხანძარი გააჩინეს... ხანძარი ქალაქს ფართოდ მოედო და ისე გაძლიერდა, რომ საღამოს 5 საათისათვის ციხის არტილერია იძულებული გახდა გაჩუმებულიყო... ხანძარმა შთანთქა ქალაქში დაგროვილი თივისა და ხორბლის უზარმაზარი მარაგი, რომლის რაოდენობაც მილიონ ორასი ათას ჰექტოლიტრს უდრიდა"[5] მიუხედავად მაგარი გარემოცვისა და ძლიერი საარტილერიო ცეცხლისა, რუსმა ჯარმა მაინც ვერ შესძლო კიუსტრინის აღება—რუსებს საალყო არტილერია არა ჰქონდათ, უამისოდ კი ასეთი ძლიერი სიმაგრის იერიშით აღება თითქმის შეუძლებელი იყო. მაინც გარემოცვა წარმატებით მიმდინარეობდა. მთელს იმ არე-მარეში, როგორც სჩანს, მდგომარეობის ბატონ-პატრონი რუსეთის მხედრობა იყო. გერმანელი ისტორიკოსი ოსკარ იეგერი თავის „ახალ ისტორიაში" შენიშნავს, რომ „ირეგულიარული ნაწილები, რომლებიც კიუსტრინის გარემომცველ ჯარში შედიოდნენ, თავისებურად პარპაშობდნენ"[6].

კიუსტრინის გარემოცვაში, როგორც თვითონვე გვიდასტურებს, დავით გურამიშვილსაც მიუღია მონაწილეობა. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ დ. გურამიშვილი პრუსიელებს ტყვედ ჩაუვარდა მაშინ, როდესაც ის „ცხენათურთ ლიაში ჩაეფლა", ესე იგი კიუსტრინთან, მაგრამ ეს არ უნდა იყოს სწორი. ოფიციალური ცნობებით, ყველა ოპერაცია კიუსტ[illegible] დროს. დ. გურამიშვილის ტყვედ ჩავარდნა უნდა მომხდარიყო არა კიუსტრინთან, არამედ ცოტა უფრო გვიან, ცორნდორფის სასტიკსა და სისხლისმღვრელ ბრძოლაში, რომლის დროსაც მეტად საგრძნობლად იზარალეს როგორც პრუსიის, ისე რუსეთის არმიებმა.

კიუსტრინის ციხე-სიმაგრეს ჯერ კიდევ მაგარი ალყა ჰქონდა შემორტყმული, როდესაც მის საშველად სწრაფი მარშით დაიძრა ფრიდრიხ მეორე თავისი 32 ათასიანი არმიით. 22 აგვისტოს, ღამით მან ჩუმად დააგო ხიდი მდ. ოდერზე, იქ, სადაც მოწინააღმდეგენი არ მოელოდნენ, და მდინარის მარცხენა ნაპირზე გადასხა თავისი ლაშქარი. რუსეთის არმიის მთავარსარდალმა ფერმორმა დაუყოვნებლივ გადააჯგუფა თავისი ნაწილები. მან ალყა მოხსნა კიუსტრინს, ჯარი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დასძრა და ათი კილომეტრით დაშორდა ციხეს. იქ, სოფელ ცორნდორფთან დაიჭირა მან მოხერხებული პოზიცია და მოემზადა გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ამ დროს მისი არმიის საერთო რიცხვი 42 ათას კაცს აღწევდა. ამ რიცხვში შედიოდნენ ირეგულიარული ნაწილებიც 3 ათასი კაცის რაოდენობით. ქართული ჰუსართა პოლკი, სადაც დ. გურამიშვილი მსახურობდა, ამ ირეგულიარულ ნაწილების შემადგენლობაში ირიცხებოდა.

ფრიდრიხმა მეტად მოხერხებული მანევრით თავი დაუარა რუსეთის არმიის განლაგებას და უკან მოექცა მას. ფერმორი იძულებული გახდა საჩქაროდ შეეტრიალებინა მთელი არმია ზურგისაკენ, რომ მომზადებული შეხვედროდა მტერს.

25 აგვისტოს, დილის 9 საათზე დაიწყო ეს ისტორიული ბრძოლა. მაღლობებზე დადგმულმა მტრის ზარბაზნებმა ცეცხლი გააჩაღეს. ორი საათის სროლის შემდეგ პრუსიელები შეტევაზე გადავიდნენ და ხელჩართული ბრძოლა დაიწყო. ბრძოლა იყო დაუნდობელი, სასტიკი, სისხლისმღვრელი. რუსეთის მხედრობამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი საოცარი მხნეობა, უდრეკლობა და სიმამაცე. ბრძოლა დამთავრდა საღამოს 7 საათზე ორივე არმიამ შეინარჩუნა თავისი თავდაპირველი პოზიციები.

ფრიდრიხ მეორე თავმომწონედ იკვეხოდა ამ ბრძოლაში გამარჯვება მოვიპოვეო. მაგრამ მიუხედავად ამ „გამარჯვებისა", ფრიდრიხმა მეორე დღეს ვეღარ გაბედა ბრძოლის განგრძობა და რუსეთის არმიამ სრულიად თავისუფლად და უვნებლად გადაინაცვლა სხვა პო[illegible]

უნდა ითქვას, რომ ზარალი საკმარისი იყო რუსების მხარეზედაც. მათ მოკლულთა და ტყვეთა სახით დაჰკარგეს 6 ათას კაცზე მეტი, დაჭრილების რიცხვი 12 ათასამდე აღწევდა[8]. ფერმორის ორმოცდაორ-ათასიანი არმიისათვის ეს დანაკლისი საგრძნობი იყო და დავით გურამიშვილს მართებულად შეეძლო შეენიშნა ამის შესახებ თავის ლექსში:

„ორმოც-თვრამეტს ბრუსმან დაგვკრა,
თავსა დაგვახვია რეტი"...

დავით გურამიშვილის ტყვედ ჩავარდნა სწორედ ამ ცორნდორფის ბრძოლაში უნდა მომხდარიყო.

„მე ჩემს ძმებსა დამაშორა,
ლუწისაგან დავრჩი, კენტი,
მაღდებურგის ციხეშიგან
დამსვა კარებ დანაკლეტი".

ასეთი სიტყვებით იგონებს თავის მწარე ბედს დავით გურამიშვილი. მისი ტყვეობა, მისი მწუხარე მარტოობა და კაეშნით აღსავსე განცდები მაგდებურგის პატიმრობის დროს გაშიფრულ უნდა იქნეს მისივე ლექსების საშუალებით, რომელთა ქრონოლოგია, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის დადგენილი და მოითხოვს თავის მკვლევარს.

შვიდწლიანი ომი დამთავრდა 1763 წლის დასაწყისში, მაგრამ დაზავიანება რუსეთსა და პრუსიას შორის მოხდა ამაზე ადრე. რუსეთის ახალმა იმპერატორმა პეტრე მესამემ წინასწარ ზავს ფრიდრიხ მეორესთან ხელი მოაწერა 1762 წლის 16 მარტს. ამავე დროს ორივე მხარემ გაანთავისუფლა თავისი სამხედრო ტყვეები[9]. ამ პერიოდს (მარტი—აპრილი 1762 წლისა) მიეკუთვნება, როგორც სჩანს, დავით გურამიშვილის ტყვეობიდან განთავისუფლებაც, ის ხანაა, რომელზედაც პოეტი სწერს:

„მუნით ვიხსენ, შინ წამოველ,
ქერი ვხან და ყანა, ფეტი".

შინ (უკრაინაში) დაბრუნებულ ვეტერანს კარ-მიდამო განადგურებული დახვედრია და ამ ამბავმა თავისი გამოხატულება ჰპოვა პოეტის ლექსში: **„ოდეს დავით გურამიშვილი ბრუსიაში დატყოვდა და თუ რამ აქვნდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმისთვის ტირილი"...**

ტყუილად სტიროდა მოხუცი დ. გურამიშვილი. ყველა „საცხოვრებელზე" უძვირფასესი—მისი შესანიშნავი პოეტური მემკვიდრეობა საბოლოოდ მაინც არ დაკარგულა, — იგი დღემდე უკლებლივაა შენახული ქართველი ხალ[illegible]

---

[1] ტ. ოსიპოვი—„შვიდწლიანი ომი პრუსიასთან და ბერლინის აღება", 1941 წ., გვ. 7 (რუს. გამ.).

[2] მარქსი და ენგელსი—თხზ., ტ. XI, ნაწ. 2, გვ. 398 (რუს. გამ.).

[3] ნ. კორობკოვი—„შვიდწლიანი ომი" 1756-1762 წ.წ.", 1940 წ., გვ. 69 (რუს. გამოც.).

[4] იქვე, გვ. 150.

[5] იქვე, გვ. 168-170.

[6] ოსკარ იეგერი—„ახალი ისტორია", სპბ. მეხუთე გამოც., გვ. 572.

[7] ნ. კორობკოვი, გვ. 170.

[8] იქვე, გვ. 185.

[9] იქვე, გვ. 319.

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
უე 7675